



საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილება
მოსკოვის საპატრიარქო

სსკგ-ის თავმჯდომარემ ბულგარეთის უნმინდეს პატრიარქ ნეოფიტეს ინტრონიზაციის 10-წლისთავის იუბილე მიულოცა



მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილებმა თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარს, უნმინდეს პატრიარქ ნეოფიტეს აღსაყდრების 10-წლისთავთან დაკავშირებით მილოცვა გაუგზავნა.

მილოცვის ტექსტი ქვემოთ მოცემულია სრულად.

თქვენო უნმინდესობავ!

გულითადად გილოცავთ ბულგარეთის უძველეს და უდიდებულეს საპატრიარქო ტახტზე თქვენი აღსაყდრების მეათე წლისთავს.

სულიწმიდამ და საეკლესიო-სახალხო კრებამ სათნოდ მიიჩნია ბულგარეთის მართლმადიდებლობის ხვედრი თქვენი ხელისთვის ერწმუნებინა, როგორც **რჩეულისათვის ქრისტეს მიერ** (რომ. 16:10), რომელმაც მღვდელთმთავრის მრავალწლიანი მოღვაწეობის მანძილზე შეიძინეთ სიბრძნე და სხვადასხვა სათნოება, ასევე საღვთო ერის გულწრფელი სიყვარული.

მარადსახსენებელი ბულგარელი პატრიარქების კირილესა და მაქსიმეს ღირსეული მემკვიდრე, თქვენ **ღვთისმოსაობაში გაიწაფეთ თავი** (2 ტიმ. 4:7) თქვენი ზრუნვით ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის განმტკიცებაზე ზრუნვით თანამედროვე საზოგადოებაში, რათა მისი დედობრივი ხმა ისმოდეს და გასაგები გახდეს ბულგარელი ხალხის ახალი თაობებისთვის და შეენიოს მათ აღზრდას წმიდა მართლმადიდებლური სარწმუნოებაში.

შთაგონებული ბულგარელი წმინდანების მაგალითით, რომლებიც უშიშრად იბრძოდნენ ღვთის სიმართლის ზეიმისთვის, თქვენ ღიად იცავთ ქრისტიანული ქორწინების სინმინდეს და გაბედულად საუბრობთ აღვირახსნილი ცოდვის პროპაგანდის წინააღმდეგ, რომლითაც ამ საუკუნის ძალები ცდილობენ სახარებისეული ზნეობის ფასეულობები ჩაანაცვლონ თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში.

როგორც მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარეს, მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო თქვენი უწმინდესობის გამორჩეული პირადი წვლილი ჩვენს და-ეკლესიებსა და მათ მიერ კვებულ ერთმორწმუნე ხალხებს შორის ურთიერთობების განვითარებაში, რომლებსაც ისინი ემსახურებიან. რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას თქვენს ახსოვხართ და უყვარხართ მოსკოვის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროიდან. და, როგორც კი ბულგარეთის პატრიარქი გახდით, თქვენ არაერთხელ ეწვიეთ ჩვენს ეკლესიას, მათ შორის ბოგუჩარსკის წმინდა მღვდელთმთავარ სერაფიმეს (სობოლევის) განდიდების დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

პატივს მოგაგებთ ამ საზეიმო თარიღთან დაკავშირებით, მხურვალე ლოცვებს აღვაველენ ღვთის მიმართ, რათა მოუვლინოს **ყოვლითა სიხარულითა და მშვიდობითა სარწმუნოებად** (რომ. 15:13), მადლმოსილი განმტკიცებით სხეულებრივი ძალებისა და ღვთის მოუკლებელი შეწევნით თქვენს საპატრიარქო მსახურებაში.

ქრისტეში მოკრძალებული სიყვარულით,

მოსკოვის საპატრიარქო საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე,

ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/90087/>